ფასი 10 კაპ. 1909 1 თებერვალი.

ალმანახი № 4

ბუერჯი

მკითხველთა საყურადღებოდ

სალიტერატურო მხატვრული ალმანახი დროგამოშვებით გამოვა სხვადა-სხვა სახელებით. ყოველგვარი მიწერ-მოწერა დასაბეჭდი მასალები და ფულები გამოიგზავნება მხოლოდ ვალერიან გუნიას სახელობაზედ შემდეგის მარტივის ადრესით:

Тифлисъ Валеріану Гуніа.

✦ სალიტერატურო მხატვრული ალმანახი. სურათები, ნახატები და კარიკატურები. ✦



44826

ორი პეპელა

ფასი 10 კაპ. 1909 1 თებერვალი.

ალმანახი
№ 4

ბუერჯი

მკითხველთა საყურადღებოდ
ლიტერატურო მხატვრული ალმანახი დროგამოშვებით გამოვა სხვადასხვა სახელებით. ყოველგვარი მიწერ-მოწერა დასაბეჭდი მასალები და ფულები გამოიგზავნება მხოლოდ ვალერიან გუნიას სახელობაზედ შემდეგის მარტივის ადრესით:
Тифлисъ Валеріану Гуніа.

✦ ლიტერატურო მხატვრული ალმანახი — სურათები, ნახატები და კარიკატურები. ✦

ორი პეპელა

44826

შოთა და აკაკი

ჩვენცა გვქონდა დრო, როცა ცხოვრება
ერთიან, ძლიერ, საქართველოსი
იყო სასწაულ,—საკვირველება
და საარაკო რაღაც ეპოსი.

და გაჩნდა მაშინ კიდევაც **შოთა**
და ააღერა საამოდ ქნარი,
რჩეულმა შვილმა საოცარ დროთა
შეჰქმნა პოემა გასაოცარი.

იგი ჰიმნია დიდის თამარის
და თან სურათი იმ ნეტარ დროსი,
როს ჰქუხდა ქვეყნად სახელი ქართველის,
როცა უდგა მას „ხანა ოქროსი“!..

დაგვიდგა სხვა დრო, დაგვატყდა რისხვა,
დრომ მონობის და გადაგვარების;
საჭირო იყო მგოსანი სულ სხვა,
მგოსანი ბრძოლის და მწუხარების.

და აი ვხედავ ახლა **აკაკის**,
ამ შავ-ბნელ დროის შემოჩვენებელს,
გამცოცხლებელსა ძველ გმირთ ამაგის
და მომავლისკენ გზის მაჩვენებელს,

შინ რომ მწვავ მარახს სცემს უღირს შვილებს
და ბასრ სა მახვილს გარეშე მტერსა
სასოწარკვეთილს იმედს უღვიძებს,
და აფრთოვანებს დაჩაგრულ ერსა!..

დუტუ მეგრელი.

მინიატიურები

XIII

ი ს

მუდამ ის... ყოველგან ის... ყოველისფერში ის...

ქსელებში გასლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბესს ნეტარებას!

დრუბლის ნაფლეთები მისტურავს ცაზე, ერთმანერთს ასწრებს, ჯგუფდება და—სავკვირველია!—ნათლად, ტოტსლად, ათასნაირად, გარკვეულად მიხატავს... მას.

ბალდის ტიტინში მის უმანკოებას ვსედავ; ვაჟკაცის გულ მკერდში—მისსა მხნეობას.

ზღვის უფსკრული—მისი გონების სიღრმეა; ჩანჩქერი მისი ზრის სიმკვირცხლეა.

ამომავალი, მიდეული მთვარე—მისი სინაზეა; მზე—გამაცოცხლებელი ძალა მისი.

ქარვს, ეკალს ხელით ვგლეჯ—მეშინია არ გაუკარწყლოს მას ბატარა, ლამაზი ფესვები; ვარდს, ია ვრგავ, ვრწყავ—იქნებ ოდესმე დაეინახოს იმან.

ის მეუბნება ნანას.. ძილშიაც მეცხადება... ის მაღვიძებს... მუდამ ის... ყოველგან ის... ყოველისფერში ის..

ქსელებში გასლართული, წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბესს ნეტარებას!

XVI

კელაპტარი

ბჟუტავს კელაპტარი. შარავანდეთით ვერ მოსავს ხატებს, ვურ უანდოებს მდოცველთ ზეციურ ძალთა სურათებს. თვითონ ხომ იწვის, მაინც დთის წინაშე იწვის, იწვის, სანამ დთაება შესამოსელად მზის სხივებს მოიწვევდეს.

კელაპტარი წმინდაა. თვით ჩირადანი ვერ შეეღრება მას!

სანთელი კი.—სანთელი რა სასენებულია!—დოქრის ქონიდან ჩამოსხმული დასდგზე დასწვავად.

ნ. ლ.

ცხოვრების ტალღები.

(ვუძღვნი Batóu-ს)

ცხოვრება ოხერ-ტიალი
ფაფარ აშლილი ზღვა არი:
ბობოქრობს ტალღებს აგორებს,
ღრიალებს შეუპოვარი!

სულ არ დაგიდგეს ქვეყნისთვის
თავი თუ მსხვერპლად გისახავს:
ცრემლად დამდნარხარ მოიმისთვის,
ნათელი დღე არ გინახავს.

თუ კი მიგიგდო ტალღებში
მხდალი და გაუბედავი,
თუ ვერ შეაგდე ქოჩორზედ
გულ-ხვავსა გაბედვით ნავი,—

აფრას მოგაგლეჯს გრიგალით,
ნავს კალთას გადააფარავს,
ზედ გადაგიგლის ხარხარით,
მოგახრჩობს, გაგატიალავს...

ბრძოლა რჩეულთა ხვედრია,
სხვა ყველა ლაჩრად დასცურავს:
ტალღებს გზას უხვევს, დაძვრება,
ტანჯულს დღეებსა იზოგავს.

ვაშა იმ ვაჟკაცს, ვინც რიხით
ზღვ ს შეაბრძობებს თავის თავს
და ტანჯულთ ღროშის ფრიალით
სხვაკ მიჰყავს, მკერდით იფარავს!..

გ. ახალციხელი.

პატარა ფილეტონი

მშვენიერება მწამს, ღიპი კი მაკვირვებს.

ხშირად მესაუბრებიან ხოლმე სხვა-და-სხვა გვამნი ცხოვრების, ადამიანის მოღვაწეობას მწერლობას და სხვა ამგვარ საგანთა შესახებს. მრავლად გაჩნდნენ ჩვენშიაც ისეთი ადამიანები, რომელთაც, მაგალითად სწამთ მშვენიერება, როგორც მწერლობის, მხატვრობის საგანი; ხოლო საოცარი ისაა, რომ მშვენიერების ტრფიალნი უმრავლესად უშნონი. არიან, უპირველესად ყოვლისა თითქმის ყველას მეტ-ნაკლები სისქისა და სისხოს ღიპი აქვს, რომელიც მთელ მათ ფილოსოფიას საბრალოდ აბათილებს.

როცა ეს ახირებული ესტეტიკოსები თავიანთ სატრფიალო მშვენიერებაზე დამიწყებენ საუბარს, თვალებს დაბლა ვხრი და დუმილი მეუფლება ხოლმე ჩემი მოსაუბრენი ჰფიქრობენ, რასაკვირველია, რომ მათ წინააღმდეგ არაფერი მაქვს სათქმელი და სულაც არ გულისხმობენ, რომ ამ დროს მთელი ჩემი ყურადღება იმათ ღიპზეა მიქცეული.

ჩემის აზრით, ადამიანის რწმენის სინამდვილე იმისი საკუთარი ცხოვრებით მტკიცდება. თუ კაცს მშვენიერება სწამს, მშვენიერებას მიელტვის და ამავე დროს ისე სცხოვრობს, რომ ღიპი თან-და-თან ეზრდება და იმის გვამს აუშნოვებს, სრული საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ჩემ თვალთა წინაშე არა რწმენა, არამედ რაღაც ეშმაკური თვალთ-მაქცობა.

ვეცადოთ ახლა ეს საოცარი ოინი, ეს ღიპიანი მშვენიერება განვსჭვრიტოთ და იმისი იდუმალი არსება ნათელ ვყოთ.

როცა ზოგი ადამიანი ცხოვრების საგანს ჭეშმარიტებას იკვლევს და იძიებს, უმრავლეს შემთხვევაში ღარიბად სცხოვრობს, სულითა და ხორცით შფოთავს, მოძრაობს. ამ წუთი სოფლის მიზნისა და დანიშნულების კვლევა-ძიებაშია მუდამ-ჟამს გართული. ამისი სხეულის ძალა, ენერგია მაშინ სულის კვეთებას ხმარდება და შეუძლებელია ამ დროს იმის სხეულს მეტ-ხორცი, ანუ მეტ-ქონი გამოესხას, რომელსაც სამხელად ღიპს უწოდებენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ჭეშმარიტების ცხარე მძებნელი ადამიანი მშვენიერებაზე ნაკლებად მსჯელობს, და ამავე დროს იმის სხეულს მოხდენილი ლაზათი ამშვენებს. ცხადია რომ ამ შემთხვევაში მშვენიერება წმიდა წადილს, სულის უანგარო აღმაფრენის ბუნებრივი ჯილდო და შედეგია. ადამიანი მხოლოდ სიკეთეს მიელტვის. კაცთ-მოყვარეობა სწყურია და ვერც კი ამჩნევს, რომ ამ დროს იმისი მფარველი ანგელოზი თავს ევლება და მშვენიერების შუქით ჰმოსავს.

როცა უფროს ერთი ადამიანი სიღარიბეს თავს დააღწევს, თან-და-თან თავის ცხოვრებას უზრუნველ ჰყოფს, სულ უფრო და უფრო მეტი შემოსავლისა და მტკიცე ჯამაგირის საფუძველზე მყარდება. ამის და გვარად თან-და-თან თანაბრად უკლებს ცხოვრების საგნის — ჭეშმარიტების კვლევა-ძიებას და სულ უფრო და უფრო მდიდრულად ცხოვრობს, სულით და ხორცით აღარ შფოთავს, აღარ მოძრაობს ამ წუთი სოფლის მიზნისა და დანიშნულების აღმოსაჩენად. იმისი სხეულის ძალა, ენერგია მაშინ სულის კვეთებას აღარ ხმარდება და ამიტომ იმის უძრავ გვამს ის მეტ-ხორცი, ანუ მეტ-ქონი გამოესხმის, რომელსაც სახელად ღიპს უწოდებენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში: ჭეშმარიტების უარმყოფელი და გულ-გაცივებული, მუდრმ ჯამაგირ-შემოსავლიანი ადამიანი მაშინ სულ მშვენიერებაზე მსჯელობს, მშვენიერება ენაზე აკერია და ამავე დროს იმისი სხეული უშნო ულაზათობით იმოსება. ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიაც ეს ულაზათობა სულის დაღმაფრენის ბუნებრივი ჯილდო და შედეგია. უზრუნველ ყოფილი ადამიანი უკეთურებას მიელტვის, კაცთა შორის განხეთქილებას ემსახურება და ვერც კი ამჩნევს, რომ ამ დროს წუთიერი სიტკბოების ტარტაროზი განუწყვეტლად გარს დასტრიალებს, იმის სხეულს [illegible] სულ უფრო და უფრო [illegible] ...ნოვებს, დედამიწისაკენ ჰხრის და ამდაბლებს.

სწორედ ამიტომ, როცა ვინმე ღიპიანი ესტეტიკოსი მშვენიერებაზე საუბარს დამიწყებს მე იმის ღიპს შევცქერი და ვსდუმ. ყოველთვის მაგონდება ამ შემთხვევაში ჩვენი ხალხური არაკი იმ ქურდის შესახებ, რომელმაც ვიღაცას მამალი მოჰპარა და როცა ამ ნაქურდალის მძებნელი პატრონი გზაში შეხვდა და პასუხი მოსთხოვა მამალი, კალთას ამოაფარა და ცხარედ ფიცულობდა, რომ არაფერი მოუპარავს და ანგელოზივით წმინდა დგას მის წინაშე. პატრონმა კი ქურდის კალთის ქვეშიდან ამოშვერილი მამლის ბოლო დაინახა და წყნარად უპასუხა: „ფიცი მწამს, ბოლო კი მაკვირვებსო“.

მეც სწორედ ასე წყნარად უპასუხებ ჩვენ ქონ-შემოკრებილ ესტეტიკოსებს, რომელნიც ცხარედ სცდილობენ დამარწმუნონ, რომ მშვენიერებას ემსახურებიან, „მშვენიერება მრწამს; ღიპი კი მაკვირვებს“.

ი. ნაკაშიძე.

ᲐᲙᲐᲙᲘᲡ

დიდო ვარსკვლავო საქართველოსი,
მწამს, რომ შენა ხარ ნამდვილი „გივი“!..
მრავალს ღაღადებს ერის ყიჟინი:
„ჩვენი აკაკი, ჩვენი არწივი!..“

—

ბევრი გატირა შენმა სამშობლომ,
მთლად დნგრეულმა დაძინებულმა;
მის გასაფურჩქნად, გასაღვიძებლად
ბევრი იძგერა მაგ წრფელმა გულმა!..

—

სასიქადულოვ! ხედავ — „ავადმყოფს“,
აღარ მომკვდარა, ზე წამომდგარა;
მის დამიწებას ვინცა ნატრობდა,
აღარ მოესწრო, ხომ ხედავს, არა!!.

[redacted]

—

ღმერთს ვევედრებით კიდევ გაცოცხლოს,
შენვე მოგასწროს, რაც გენატრება,
რომ ჩვენს სამშობლოს მრავალ-ტანჯულსა
მიეცეს შვება და განახლება!..

—

[redacted]

„ᲛᲔᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲒᲠᲬᲘᲐᲚᲘ“

ქართულის ენის დიცემა კიტა აბაშიძისა (იხ. გაგრძელება 1908 წ. №№ 7 და 8)

IV

ეხლა შემდეგი მხარე ავიღოთ თქვენი მოკლე წერილის, ახალი მწერლობის ნიმუშისა.

ბრძანებთ, ძველ კავკასიას ბიზანტიურ სპარსულ არაბული ძალა ეკრგებოდა (გვ. 89.) ასე მონათვლა ქართული მწერლობის ვითარებისა, ისიც სამი სახელის ერთბაშად დარქმევით, ყოვლად უადგილოა. ეს დაემართება იმას, ვინც ქართული ძველი მწერლობის ავ-კარგი არ იცის. ბიზანტიურმა გავლენამ ქართულ მწერლობას რომ ფორმა დაუმძიმა და შინაარსი ძნელი გასაგები გაუხადა, ვერავინ უარჰყოფს, რათგანაც ხელთა გვაქვს მაშინდელი, თუ შემდგომ მისი გავლენით ნაცოდვილები ხელთნაწერები ორიგინალი, თუ ნათარგმნი. ბიზანტიურმა გავლენამ ჩვენს მწერლობაში დაჰბადა თეოლოგიურის მისტიციზმის და დოგმატიკის მიმართულება. ეს გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ ღმერთს ჩვენი პოეტები არ ახსენებდნენ თუ არ სამებით ერთსა, ვიდრე უკდავმა შოთამ არ დახსნა ბორკილნი სალმობისანი და ღმერთი ერთ ღმერთად არ აღიარა. ღაღად ჰყო დიდებულად და ყველასათვის სარწმუნოდ:

ᲩᲔ ᲦᲛᲔᲠᲗᲝ ᲔᲠᲗᲝ, ᲨᲔᲜ ᲨᲔᲥᲛᲔᲜ
ᲡᲐᲮᲔ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲢᲐᲜᲘᲡᲐ.

მაგრამ ეს ღაღადისი ბიზანტიური კი არა, განათლებულის აღმოსავლეთის ისლამის აღმსარებელ არაბეთისა და სპარსეთის ერთა ღაღადისია. აი, რა დიდი ზღვარია ბიზანტიურ და არაბულ სპარსულ გავლენას შუა. მათი ერთად ხსენება ყოვლად შეუძლებელია.

არაბულ-სპარსული გავლენა, მას გარდა რომ ფორმას უმსუბუქებდა ქართულ მწერლობას, შინაარსითაც სასარგებლო იყო ქართულის კულტურისათვის, რათგანაც ბიზანტიურ თეოლოგიურ მისტიციზმსა და დოგმატიკას კრიჭაში უდგა და მკითხველის გონებას აწაფებდა ისეთ წყაროს, რომელიც ბიზანტიურ წმინდა ბაცილებს მუსრს ავლებდა. სარგის თმოგველმა ვისრამიანის, ქაიხოსრო თურმანიძემ რუსტაველიანის (შეფეთა წიგნის) და მხეცბაბუკ ორბელიანმა ყარამანიანის თარგმნით ქართველთა ერის კულტურას ფასდაუდებელი საუნჯე შესძინეს. ქართველობა გაეცნო ამ საკვირველ ქმნილებათა წყალობით ერანელთა ვაჟკაცობის, მეგობრობის და ქალის პატივისცემის უკვდავ იდიებსა, გაეცნო მარად ცხოველის ქართულის ენითა. ამ არაბულ-სპარსულის ნაყოფიერის გავლენის ნიადაგზე აღორძინდა და გაიფურჩნა დიდებული გენია შოთა რუსთაველისა, რომელმაც ხსენებული იდიები მიუწდომელის ენით და ხელოვნებით დაგვიხატა უკვდავის ვეფხის ტყაოსნის თქმულებაში, სადაც ასპარეზად არაბეთ-ინდოეთ-სპარსეთი და მოასპარეზე—გმირებად ამ ქვეყნების მაჰმადიანი ხალხი გამოიყვანა.

რა მოგვცა ბიზანტიამ ამის ფასი? მარტო ბიზანტიური ბურუსიანი განმარტება ქრისტიანობისა, რომელიც მანამდე გავრცელებულიყო საქართველოში. დიახ, ეს მოგვინია, ხალხო დაგვიფარა ნამდვილი ელენიზმის წყარო—ჰომიროს პოეზია, რომლის თარგმანი დღესაც არ მოგვეპოება, თუ არ ვიგულებთ გასულ საუკუნეში ვინმე გარსევანიშვილს ბიზანტიურ ქართულად თარგმნილს რუსულის ენი-

საგან ოდიშის მთავრის მემკვიდრისთვის. მოგვინიჭა კიდევ მარტო ბიზანტიური სამწერლო მეტიჩრობა. თუ ასე არ იყო, მაშ მთაწმინდელებმა რაღად ჰსთარგმნეს XI საუკუნეში ხელმეორედ საღვთო წერილი, ისიც უშნოდ, მძიმედ, როცა მანამდე იყო თარგმნილი საბაწმინდელების, თუ სხვებისა, ასურულ-სომხურისაგან და გამართული უფრო კარგის ქართულითა? სარწმუნოებრივის შურით, რომელმაც არ დაინდო ღვიძლი ქართულივე მწერლობა და სახსენებელი გაუწყვიტა, რათგანაც ქალკიდონის კრების უწინარეს ქრისტიანობას აღიარებდა. თუ შეგიძლიათ, წაიკითხეთ ბიზანტიელ მთაწმინდელებამდე სამაგალითო ნაწარმოები მიქელ მოდრეკილის მუსიკის ნოტებიანი საგალობლები და შეიტყობთ, თუ ენისა და ხელოვნების რა საუნჯეს მოკვწყვიტეს ძალად მაცხონე მთაწმინდელებმა. კიდევ ვიტყვი, ყველაფრის ხსენება შეიძლება არაბულ სპარსულთან, ბიზანტიურის კი არა, რათგანაც ერთი მეორის უარმყოფელია, როგორც წამალი საწამლავისა და მათი ერთ მცნებად შეერთება მხოლოდ უცოდინარობით მოუხდება ადამიანსა.

კიდევ ბრძანებთ, თუ ძველ მწერლობაში ისმარებოდა სპარსულ არაბული სიტყვები (მეჯნური, ტურფა, სუბუქი, სუმბული, სუსტი, სუფთა და სხვა) ძალიან ხშირად ცხოვრების თვით უმთავრესი მსარეებისა და გრძნობების გამოსახა ტკვად, რა ნახეს ვითომდა ძველის ტრფიალთა გასაკვირალი, რომ უცხო სიტყვებს ვხმარობთ, იმასაც განუენებულის სგნების გამოსახატავადო (გვ. 91)

გასაკვირალი დიახ არაფერია. არავის ეძ რახვის უცხო სიტყვების შემოტანა სამშობლო მწერლობაში, როდესაც საგანი ახალია, მისი გამომხატველი სიტყვა სამშობლო ენას არ მოეპოება, არც შეიძლება თარგმნა ისე, რომ საგნის გაგებას არაფერი დაუშავდეს. მაგრამ უბედურება ის გახლავს, რომ ზოგიერთმა ასეთმა მწერალმა კარგად უწყის ამბავნი უცხონი უცხოთა სელმწიფეთანი, ხოლო რა უღვაწნია გონებრივ მის წინაპრებს, როგორი ყოფილა საერთოდ მათი კულტურა, ამის ცოდნას აღარ ისაჭიროებს, როგორც ძველსა, კიდეც დაჰსცინის სხვას, ვინც იმ ძველის შესწავლას ეტანება ახალის გასამტკიცებლად. უცხო სკოლის პატენტით თავი მოაქვს და ცოდვილობს, თავისი ცოდნა გაგვიზიაროს იმ საყველპურო, უკულტურო ქართულით, რომელსაც თვითონ ლაპარაკობს და ესმის. იმ საზოგადოებაში, სადაც ქართული სკოლა ას წელიწადზე მეტია, რაც აუკრძალავთ.

თქვენც არა გწყალობთ ცოდნა ჩვენ წინაპართა მწერლობის ავკარგისა, როცა ბრძანებთ, ვისრამიანი სუკეთესო ბრიზსა მეთორმეტე საუკუნისაო (გვ. 93). რა გაქვსთ საბუთად? ხომ იმას ეშგვანება, ლიტონ სიტყვად მოგახსენოთ, ვისრამიანი XI საუკუნის პროზა არის მეთქი? ხომ ასეა და უფრო მეტი საბუთი მე მექმნება, ვჰსთქვა, ვისრამიანის ენა შოთასგან უფრო ადრინდელი ენა არის მეთქი, რათგანაც შოთას პოეზიის ენის განვითარება იგულებდა ვეფხისტყაოსნის წინასწარის არა თუ პოეზიის მარტო, არამედ პროზის განვითარებასაც, რის ერთ ნიმუშს უცილობლად წარმოადგენს ვისრამიანის პროზა. ვისისა და რამინის მიჯნურობის ამბავი, როგორც უფრო მანამდელი, შოთას ორჯერ მოჰყავს სამაგალითოდ თავისს ვეფხისტყაოსანში, როცა ამბობს

> იგი ჭირი არ უნახავს
> არ რამინს და არცა ვისსა.

სხვა ადგილს

> ნუ ეჭვ მიჯნურად მათებრსა
> ნუცა თუ რამინს და ვისსა.

მერმე კიდევ ვისრამიანი სპარსულისაგან არის ნათარგმნი. მისი სპარსელი ავტორი შოთასგან უფრო ადრინდელი უნდა იყვეს, რათგანაც არც ია ჰჩანს, შოთას თანამედროვე ყოფილიყვეს. ხოლო შოთას თანამედროვე „მოსე ხონელმა „ამირან დარიჯანიანი“ დასწერა (ეხლა რო ყოფილიყო ხონურად დასწერდა) ისეთ პროზად, რომელიც ძლიერ განირჩევა ვისრამიანის ენაში თავისი სიმსუბუქით. აი საქმის ნამდვილი გარემოება, რომელიც გადაჭრით ვერაფერს გვათქმევინებს.

XVIII საუკუნის პროზის განსაზღვრაში-კი მაშინდელი მწერლობის მცოდნე გამოდექით, მაგრამ ცოლმხრივად. ცუდი მინუში მიჩვენეთ, თითქოს უკეთესი არავის დაეწეროს თანამედროვეს. სამართლიანობა და თუ გნებავთ, სალიტერატურო ეთიკა მოითხოვდა, ილია ჭავჭავაძის წერილი პროზად „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე სიტრუე (იხ. ივერია 1896 წ. № 20) შეგედარებინათ იმავე საუკუნის საუკეთესო პროზისთვის, რათგანაც აღტაცებაში მოუყვანიხართ და სანიმუშოდ აგიღიათ „კაცია-ადამიანის“ ავტორის ზემოხსენებული წერილი, რომლისთვისაც რუსობის დროინდელ დიდებულ მოამბეს სახელიც კი ვერ დაურქმევია წესიერად. მაგალითად რომ აგეღოთ საბა ორბელიანის წიგნი სახელად სიბრძნე სიტრუისა, დაინახავდით, რომ XVIII საუკუნის პროზაიკ ნაწარმოებში უფრო მაღლი დგას ეს თხზულება, ვიდრე „ქილილა და დამანა“ და არა „ქილილა და-

მანა,“ როგორც ბრძანებთ. დაინახავდით იმასაც, რომ იგავი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც სიკრუე, რომლისაგანაც სიბრძნე გამოდიოდა. მაგრამ თქვენთვის ეს ყოველივე საჭირო რიდი იყო, თქვენთვის უპრიანი იყო, შეგეტყობინებინათ მკითხველისთვის, ძველი მწერლობის დაუცხრომელ ტრფიალთ და მათ შორის ამ ჟამად პეტრე მირიანიშვილს ქალილა და დამანასებური ქართული გაუხდიათ სათაყვანებლად და იმათ როგორ რამე დაეჯერებათ, იმათ, რომელნიც ჩვენი ახალი მწერლობის ენას იწუნებენო.

ქართული ახალი მწერლობა დამშვენეს და გაამდიდრეს იმ მწერლებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ძველ მწერლობასთან: ოჯახში ხმარობდნენ დარბაისლურ ქართულს და ჰკითხულობდნენ ქართულის ძველი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებსა. მაგრამ ვიტყვი, ამ მწერლების ნიჭმა ვერ გაუძლო გარემო უკულმართობას, ქართულის სკოლის უქონლობის გამო შხამიან ატმოსფერას და თავიანთ სამაგალითო ნაწერებში იმდენი რუსიციზმი შეიტანეს, რომ მისი ანუსხვა გულს დასწყვეტს ადამიანსა; დღეს ამ შეცდომილების გასწორება ყოვლად შეუძლებელია, მაშინდელი რედაქტორ-გამომცემელნი კი იმდენად უმეცრები იყვნენ ქართულის ენისა, სურვილიც ჰქონოდათ, მაინც ვერ გაუსწორებდნენ.

ახალი მწერლები დაეწაფნენ ორბელიანების, ჭავჭავაძეებ ს, წერეთლების, ბარათაშვილის და სხვა ჩინებულის მწერლების ნაწარმოებსა და ღირსებასთან ერთად შეითვისეს განუშორებლივ მათი ნაკლიცა.

ამ ახალ მწერლებში თქვენც ირიცხებით. ჩვენი მწუხარებაც იმაში მდგომარეობს, რომ უღონო ხართ, აიცდინოთ თავითგან მავნებელი გავლენა უცხო კულტურისა, ამ ჟამად ისეთის ფაკტორისა, რომელიც სულიერად განადგურებას გვემუქრება. რასაკვირველია, მეც რო სათაყვანებლად გამეხადა ახალი მწერლობა, ვიტყოდი, რომელიც სულიერად განადგურებით გვემუქრება შეოქი. საბუთად რუსულის გრამატიკის გარდა, ისიც მეყოფოდა, რომ დიდი გრიგოლ ორბელიანი ერთ ერთ თავის ლექსში ამბობს

> და მრისხანებით ქვეყანას
> წარდგნითა ემუქრებიან.

P. S. ამ წერილს რო ვათავებდი, მოვიწაკითხე, წამეკითხა გრიგოლ ორბელიანის ლექსი „სადამო გამოსალმების“, საკაც ზემო ხსენებული ტაეპია მოკვანილი. შემთხვევით მივმართე სერგეი გორგაძის გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნს „ჩვენს მწერლობასა“ და ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონია, როცა იქ ვპოე „წარღვნითა“ კი არა, როგორც ძველ წიგნებში იყო, არამედ „წარდგნასა“. ჩვენის აზრით ასეთ რედაქციას უფრო აღმზრდელი მნიშვნელობა ექმნებოდა, ჰეცდომის გასწორება სქოლიოდ რომ ჩამოეტანათ. მოსწავლე ახალგაზ. დობამ იცოდეს, რომ მონობის დროს ნიჭიც მონაა უცხო კულტურისა, რომელიც გველეშაპივით პირ აშკმული გამოიცქირება ჩასანთქმელად, და რომ დაუცხრომელი ბრძოლაა საჭირო, თავისუფალი სულიერის კულტურის დასამყარებლად.

პეტრე მირიანიშვილი

ზამთარი

> დაგვიზამთრდა. აგერ კიდეც
> თოვლი ცვივა ნელა ნელა,
> ცაში ფერფლი დატრიალებს
> და ხან და ხან თითქმის ბნელა!
>
> თეთრი ჩადრით გადიფინა
> მინდორი და მწვანე ველი
> და საწვიმურს დაეკიდა
> მოკრიალე ყინვის რთველი...
>
> აღარ ცივა... არე მარე
> შავ ბურუსით გამურულა
> აღარც მზე სჩანს, მის ციაგი
> კორიანტით დაბურულა!
>
> არ ბიბინებს მწვანე მდელო—
> თეთრი ჩადრი აფარია,
> მაგრამ მის ქვეშ თბილად სძინავს
> და ძალს იკრებს ნაზი ია!..
>
> სძინავს კეკლუცს... მკაცრ ყინვასა
> ემალება... ჩადრ ქვეშ თბება
> და მაისის ნეტარ დღეებს
> გულს იმედით ელოდება!

დემონი.

მთეგის გაასი.

(ლექსი პროზითა)

ცა მოიდრუბდა, ჩამოიდუშა... ქარი ზუზუნებს, დაჭრის დრიალებს და მიმოფანტავს კაეშან-ნადველს... მდელო გამხმარა, გადატრუსულა, ზამთრის სუსხის ქვეშ გმინავს ტეე-ველი და შიშს მოუტანს არსი ეოველი...

გამქრალა ლხენა, გამეფებულა ნატვლად წუხილი და ირგვლივ ისმის კვნესა-ტირილი, ოხვრა-ვაება, ობოლთ ჩივილი...

ბნელი ღამეა, უკუმეთია... მიდამო ძრწის, ჭკრთის, ჭექა-ქუხილი შიშს ჭვრის ქვეყანას და ულვა სწრაფად თვალს მიმოავლებს მთელსა სამყაროს და მთელსა ბუნებას. მთლად დაუჩრდილავთ ღრუბლებსა მოვარე, მხეცებს და ნადირთ უშვრიათ არე; გაესმის ბუს წივილ-კივილი, მას უერთდება ნადირთ ღმუილი. . ადამიანი გარინდებულა, შეშინებულა, არსიათ სიცანან, ეკვეს თვის ბინას შეჭკედლებია... ეერს არ უგდებენ, თვალით ვერ სედგენ ამ ქვეყნის შფოთვას, ბუნების გმინვას...

მაგრამ დარაჯნი, ცის ტატნობიმდის აეუდებულნი, მთები მაღლები, თოვლით და ყინვით დასეკვლებულნი იადბუზი და ამაეი მეინვარი კვლავ სდარაჯობენ. . ჩვენსა ქვეყნის სამყაროს ბრუნვა-ტრიალსა ელვის ქვეშ გმინავს, ძრწოლა-კროლობას თვალსა ავლებენ...

თოვლით შემოსილ, ამაე მეინვარმა, დიამბეგიეთ ამოიქმინა, იადბუზის მთას თვალი მიაბერო და კვლა-ძახა:

თუმცა დიდი ვარ და ვეჭვრეტ სამყაროს ვიცი რაც ხდება ჩემს კარშემო: აქ კაცი კაცს კლავს, იქ შვილი მშობელს ტრობს და დალატობს; აქ სიდარიბე, იქ ფუფუნება-სიმდიდრე მეფობს!.. მაგრამ ვერ ვხედავ შენს იქით მხარეს-მდებარე არეს, რადგან შენც ჩემებრ დიდი ხარ და ვერ შეუძელ გადავწვდე, რომ იქაობას თვალი მოვავლო,—ამიტომ მამცნე, რა ხდება აქეთ!..

იადბუზის მთამ ამაე მეინვარსა მეის უპასუხა:

— ტანჯვა და კვნესა მეკედრობა მათში... ცა ჭექა, ქუხდა, ძრწოდა ბუნება, ქარი სუსხს გვრიდა მდელო მინდვრებსა; აეეთოდა ვედი, სმებოდა ტეეტ; ზამთრის წყალობით მოიდურბდა ცა... მაგრამ ჩე ესლა გამოკრთა სხივი... სატაა მოვა კვლავ განთიადი და მას მოჭეეება ცხოველი მზეცა... დადგება.. მოდის კვლავ გაზაფხული.. მზის სხივებს უტდის ბუნება-არე, რომ გაიფურჩქნოს და ოდნავ აეავდეს!.. აი კიდეც ეჭვრეტ გამთენე ვარსკვლავს, სუ, სხივი მოსჩანს... მოდის ჭა, მოდის!..

— ნეტარება შენ იადბუზის მთავ, რომ იქით მხარეს ერთხელ მაინცა ნახავ მზიარულს, რომ მზე ცხოველი მადე, სულ მადე სხივებსა კეთორცნის და მკერდს გაგითბობს!.. ვაი, მე ბედ-კრულს!.. ჩემს იქით მხარეს კვლავ სიბნელეა, თვალ-უწყდენელი კვლავ ეეთოელი: სუსხი, ზამთარი, შავ ღრუბელთ გროვა და უკუმეთი,—ეს არის და ეს!.. აქეთ მხარეც, შენსაც ჭხედავ, კვლავ მწუხარეა! ჩრდილოეთისა ქარმა ღრუბელი თავს გადამიფარა და აქ მოჭთვანტა!. შეკხუთა არე; მოსხმა სინათლე, რომელიც ოდნავ მაინც წინედ აქა უფლობდა, ეხლა ჭრის... ჩრდილოს ქარი! მკცრი, საზარი!..

— სთქვა ეს მეინვარმა და კვლავ დადუმდა. ირგვლივ-გარშემო, მის მიდამოში, კვლავ ჭექა, ქუხდა ჩრდილოეთიდან საშინლად ჭქროდა!..

ლ. გეგეჭკორი.

ვახტანგიანი

სახუმარო პოემა

დავით ივანეს ძე ერისთავის მიერ დაწერილი რუსთაველისებურად

აქა პირველი სწავლა ვახტანგისგან მიჯნებისა [1])

აწ ამბავი სხვა დავიწყო, მეფეს წავყვე წამავალსა,
რა მიბძანდა დიდიანეთს, ასწავლიდ მიჯნებს ბალხსა,
ოთხსა კერძოს ანიშნებდა, ქუში ადგა გულგამწყრალსა,
ხმობა ბრძანა მამასახლისს, ციყვანდეს შიშით მკრთალსა.

—

ვერ ეშველა ვერ ასწავლა, მოემატა თან სიცოფე,
იტყვის: თუ რა მოვახერხო, დავამყარე ყოვლის ღონე,
„ჩემი ტკუა ზედ დავადე, ასრე კარგათ გამოვხატე,
„ღმერთო აგრე რა შეგცოდეს, ჭირი ჭირსა მომიმატე.“

—

მამასახლის მიუბრუნდა: აბა მითხარ რაცა იცი!!
„ხალხისთვინა სულ სხვა გითქვამს, მე ყველაი კარგათ ვიცი!“
„ზენაარმა იქ დამსაჯოს!“ მუხლ მოყრითა იწყო ფიცი,
„ღმერთმა შენი რისხვა დამცეს, თუ დავმალო რაცა ვიცი!“

—

„წაგვიკითხეს ნურას მისცემთ, სამსახურსა წადით თქვენო,
„ხალხი ამას მოგახსენებს, რაც ქვეყანას ისი ჩვენო,
„გრძელი სიტყვა საწყენია, ასრე მოკლედ მოგახსენო
„ჩვენი თავით ვერას მივცემთ, რაცა უნდით იგი ქმენო.“

—

გაბრაზდა და ხელი სტაცა, დააწყვიტა თავის წინა,
მაგრამ ვერა ვერ დაჭყარა, ჩაგონება მოეწყინა,
პირსა ზედა გაგულისდა, თვალთა სისხლი მოედინა,
„აღზდგა თმითა წამოზიდნა, ყელს ჩიბუხი დაებჯინა.



---

[1]) ვახტანგ ასწავლიდა ამ გვარად შორიდგან შეკრებილ გლეხთ: «ვსთქვათ რომ შენი მიწა მაგალითებრ ძევს აქ, ჩრდილოეთით ოქნება ლუშეთი, დასავლეთით გორი, ჩრდილოეთით ახალი გორი სამხრეთით ქალაქი. აბა შენ მიწასა ჰქვიან?» ძეძვნატეხ შენი ვნესამ!!. „აბა საზღვრები მითხარ? უბრძანა ვახტანგმა. „ეგრე გახლამს შენი კენესამ რაცა ბრძანეთ მოახსენა შიშისაგან დაკრთომილმა გლეხმა, აღმოსავლეთით ლუშეი და დასავლეთით გორი, ჩრდილოეთით ახალ გორი, და სამხრეთით ქალაქი. ვახტანგ ბრძანდებოდა გულ ფიცხი და ლაპარაკი იცოდა შეტევით უმეტესად გლეხებთან და რასაკვირველია ღიდად ანჩხლობდა ამ შემთხვევაში.



გურია.—გლეხი კაცის მოსახლობა

მტანჯველს

უცნაურ ჰანგით მიმიტყუე, მომაჯადოვე,
მეც უნებურად დაგემონე, მტანჯველო ჩემო!
სიზმრებრ განვლო დრომ, გულ მოკლული გამოგეთხოვე
რა გულს უძღვენი:—უცხონი ვართ, ხმას ნუ გამცემო!..

* * *

დღეის იმედით გატაცებულს, მომიკალ ხვალე,
ტრფობით აღძრული მთლად ჩავფერფლდი, მომიკვდა გული;
თუ არ გიყვარდი,—რად გამტანჯე, შენ გენაცვალე,
ან ვის ვუნდივარ უიმედო—მოტყუებული?!!.

ი. გრიშაშვილი.

მე და ის

მე ვიყავ ცელქი პატარა ბიჭი, ის-კი მალხაზი, ტურფა გოგონა, როცა უეცრად შევხვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით...

მე ვიგონებდი ათასს სხვა და სხვა თამაშ-ცელქობას და ვთამაშობდით, ვცელქობდით ერთად; ხოლო როდესაც დავიღლებოდით, განმარტოებით ვსხდებოდით სადმე და ვუამბობდი, აღფრთოვანებული, ზღაპრებს, არაკებს.

გაკვირვებული, აღტაცებული, მისმენდა იგი და მეც ვხარობდი.

ასე მისდევდა დღე დღეს, თვე თვესა და, ბედნიერნი, ჩვენ ვნეტარებდით, ვიდრე არ დადგა დრო განშორების...

გავიდა ხანი და მე ოცის წლის ჭაბუკი ვიყავ, ის-კი თექვსმეტის წლის ქალიშვილი, როცა ერთმანეთს შევხვდით ისევე; ახლა მე, როგორც მასწავლებელი და ის მოწაფე.

გრძნობა, ერთხელვე გულში ნთებული, თურმე სავსებით არ ჩამქრალიყო და ახალ ძალით იფეთქა უცებ: ჩვენ შეგვიყვარდა კვლავ ერთმანეთი.

ოჰ, რა სიამეს, რა ნეტარებას ვგრძნობდით ორივე, მოძღვარ-მოწაფე, როცა ერთმანეთს გვერდით ვუსხედით და ხან ვსწავლობდით, ხან ვოცნებობდით!..

მაგრამ კვლავ ბედმა ასე ინება და ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ, თვალებში ცრემლით და გულს ჩამარხულ ძლიერის გრძნობით; ენა ამბობდა არა „მშვიდობით“, მხოლოდ „ნახვამდის“!..

კვლავ განვლო ხანმა...

მე უკვე თმაში თეთრი მერია, ის იყო ქალი, დაბრძენებული, როდესაც შევხვდით ისევ ერთმანეთს.

მე სიხარულით ველოდი ამ წამს და აღტაცებით მას მივესალმე, ის-კი შემომხვდა ისე გულცივად, თითქო პირველად მხედავდა მაშინ.

დიახ, ძველ გრძნობის ნატამალიც-კი აღარსად სჩანდა!

ჩამომაკლობა, მიმართულება ფიქრი, სურვილი, აზრი და რწმენა ჩვენ გვეწეოდნენ სხვა და სხვა მხრისკენ,—აღარაფერი გვქონდა საერთო და ჩვენც გავშორდით იმწამს ერთმანეთს; გავშორდით ახლა-კი საუკუნოდ...

დუტუ მეგრელი.

ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ
(გარდაცვალებიდან 13 წლის გამო. დაიბადა 1825 წელს გარდაიცვალა 25 იანვარს 1896 წ.)

ᲓᲐᲠᲕᲘᲜ (DARWJN)

გაბრიელ ეპისკოპოსის აფორიზმებიდან.

განათლება და კეთილ ზნეობა საზოგადოების არა წარე მართების, უკეთუ ქალნი არ არიან განათლებულნი და წინამძღოლნი ყოველსა შინა ზნეობისა.

* * *

უკეთუ დედა არის აღვსებული გონიერებითა, ჭკუითა, სასოებითა და სიყვარულითა შვილიცა მისი გამოვა კეთილი კაკთმოყვარე.

ᲓᲐᲠᲕᲘᲜ (DARWJN)

წელს 30 იანვარს შესრულდა ასი წელიწადი, მას აქეთ რაც დაიბადა შესანიშნავი და გამოჩენილი მეცნიერი და ბუნების მეტყველი ჩარლზ დარვინი.

დარვინი ერთი უდიდესი მეცნიერთაგანია მსოფლიოში. მისმა საბუნების მეტყველო კვლევა-აღმოჩენამ და „შერჩევის თეორიამ“ სულ ძირიან ფესვიანად შეცვალა ძველი მცნება ბიოლოგიაზე და მასთან დამოკიდებულ სხვა და სხვა დარგის მეცნიერებაზე

დარვინმა და ეგრედ წოდებულმა „დარვინიზმმა“ მთელი ეპოქა შექმნა კაცობრიობის კულტურაში და ისტორიაში.

ჩარლზ დარვინი დაიბადა 1809 წლის 30 იანვარს და გარდაიცვალა 74 წლისამ 1882 წელს 6 აპრილს.

ᲗᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

XV

ᲥᲝᲜᲓᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ.

ვერ ვიტყვი რომ „დროების“ მოწინავე წერილს მიზანი ვერ მიეღწიოს: რედაქციისთვის საჭირო იყო წამოყრანტალებული სიცრუე გადაეფუჩეჩებია, საჭირო იყო ისეთი სიტყვებით შეხვდომოდა მოწინააღმდეგეს, რომ მოკამათეს სული შეხუთვოდა ბედი დაეწყევლა, რა ადამიანებთან მომიხდა საქმის დაჭერაო.

წერილის კითხვის დროს, მართლაც, არა ერთი უსიამო წუთი გავატარე. წაკითხვის შემდეგაც ვეკითხებოდი ჩემს თავს, ნუ თუ შენ ხარ დამნაშავე, რომ საუკეთესო ამხანაგები სალანძღავსათრევად გახადე, და უწმინდესი ყოველი დამონებული ერისთვის მისწრაფება ქონდრის კაცებს „ვინ იცის საიდან და რისთვის გაჩენილ ფუჭ ოცნებად“ მოანათვლიეთქო? ნუ თუ ისე ცუდად ვიხმარე კალამი, რომ იდეა რომლის იდუმალი ძალა მთელს კაცობრიობას პატივის ცემითა და აღტაცებით ახსენებინებს გარიბალდის „ფუჭ ოცნებად“ გამოვიდა? მაგრამ არა! მე რაც უნდა ცუდად დამეწერა, წმინდა იდეა მაინც წმინდად დარჩებოდა, რომ გონების მტვერის თვისება არ იყოს ვარდი და ეკალი ერთგვარად დაფაროს.

ერთი ნუგეშიც მქონდა: პატარა წრეში არა ერთხელ მითქვამს, რომ ს.—ფ. მეთაურების ფსიხიკა იგივეა, როგორიც ს.—დ. მეთაურებისა- (ვიმეორებ მეთაურებისა და არა ს.-დებისა და ს.—ფ.—ბისა, რადგან ორივე მიმართულებას შეიძლება დიაღაც ყოვლად რიგიანი ადამიანები ეკუთვნოდნენ). იგივე გამურტალება ყოველივე აზრის; იგივე უპატივცემულობა პირადნებისადმი და მაშასადამე მოწინააღმდეგეთადმი; იგივე პილატესებური ხელის დაბანა, როცა უმნიშვნელო სარგებლობა სიჩუმეს მოითხოვს; იგივე სერიოზულის საკითხების აბუჩად აგდება და იგივე კინკლაობა და მუდმივი დევნა ადამიანისა და მიმართულებისა, თუ რითიმე არ მოეწონათ მათ.

უფრო შორსაც მივდივარ და ვამტკიცებ, რომ ს.—დ. და ს.—ფ. ამ ცოტა ხანში, ორ-სამ წელიწადში, შეერთდებიან. იდეალის განსხვავება ვერ დაუშლის ხელს მათს შეერთებას, რადგან დღეს არა ხვალ დარწმუნდებიან, რომ იდეალი ძლიერ შორსაა და მათი მიღწევისთვის სიარული კი დიდს ხანს შეიძლება ერთად. ს.—ფ. არ იყვნენ, რომ გულგრილად უყურებდნენ ილიას დევნას და მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმა, როცა ადამიანი უკვე მოჰკლეს? განა ეს მეთაურები არ იყვნენ, რომ ს.-დემოკრატების მიერ ხალხის გამხეცებას ხელს აფარებდნენ, აქაო და რევოლიუცია უნდა გავაღრმაოთო თითქოს ხალხის გამგეკება ბევრად უფრო დიდი უბედურება არ იყოს, ვიდრე ესა თუ ის პოლიტიკური წყობილება. როცა ეს გამხეცება გამოამჟღავნეს, კრინტიც კი არ დასძრეს, აქაო და ხალხის თვალში დავკარგავთ სიმპატიასო, თითქოს საქმე დასისადმი სიმპატია—ანტიპატიაში იყოს და არა ხალხის სარგებლობაში! როცა საზიზღარი ცილისწამებით ვისიმე გაქარწყლებას მოისურვებენ. ს.-ფედერალისტები არხეინად არიან, მათ ასეთი უმგვანობა არც აშფოთებთ, არც შეაწუხებთ. ამა თუ იმ პარტიასთან შრომა შეუძლებელია არა პრინციპიალურის უთანხმოების გამო, არამედ იმიტომ რომ ზოგიერთი დასი ისეთს ატმოსფერას ჰქმნის, რომ შეუძლებელია სუნთქვა, შეუძლებელია გაჩერება. გუნება კი ორივე დასისა ერთი და იმავე თვისებისაა და თუ დღემდე უთანხმოება იყო მათ შორის არა **საშუალებათა** და **მოქმედებათა** შესახებ, არამედ განყენებულ პრინციპების გამო. პრინციპები ყოველ დღიურ ცხოვრებაში მუშაობას ვერ განსაზღვრავენ, და ამიტომ რა დაუშლის მათ შეერთებას? „დროება“-მ სწორედ იმ საშუალებებს მიმართა ახალი პატარა ჯგუფის წინააღმდეგ რომლისთვისაც ერთხელ ს.-ფედერალისტები მესამე დასს (ს.-დემოკრატებს) უსაყვედურებდნენ. თვით მოქმედება მოწინააღმდეგეთა კი არ სწყინდათ, როგორც ეტყობა, „დროების“ სულის ჩამდგმელებს, არამედ მხოლოდ ის რომ **მათ** წინაალმდეგ იქცეოდენ ეგრე. როცა მათვე მიეცათ საშუალება, იმავე ზომებს მიმართეს.

ინებეთ დამტკიცება!

„დროებამ“ რამოდენჯერმე გაკვრით შეეხო „საქართველოს“ და ჩვენც გაკვრითვე ვუპასუხეთ. ამ წლის მეხუთე ნომერში, კი რომ იტყვიან, ქვაქვაზე არ დააყენა. მართალი იყო თუ არა „დროებამ“ მაშან გაარჩია „საქართველო“. ამ სტრიქონების დამწერი არ იყო თანხმა „დროების“ აზრისა და სთხოვა რედაქციას მისგანვე წამოყენებული ოთხი დებულება „საქართველოს“ შესახებ დამტკიცებინა.

პირველი. „დროება“ ვეწამებდა ბაქიაობას. მე ვთხოვე დამტკიცებინა. და აი რა სასაცილო პასუხი მივიღე: „ბაქიაობა ის გახლავთ, რომ უსაბუთოდ ითვისებთ(?) ისეთ საქმის ასრულებას, რომლისთვისაც ხელიცარ გაგინძრევიაო“ო. „ასრულების მითვისება“ შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ ასრულების დაპირება, თავის თავზე მიღება და სხვა. ასეთი კადნიერება რომ გაგვებედნა, რა თქმა უნდა, ბაქიაობა იქნებოდა, მაგრამ ერთს სტრიქონსაც კი ვერ ჰპოვებთ, სადაც ჩვენ ვამბობდეთ „ჩვენ ავასრულებთ“ „ჩვენ ვიდებთ თავზე“. თქო. უნამუსო სიცრუეა! ეხლა კი მოგახსენებთ, **რამდენადაც** შეგვიალია, **რამდენადაც** გვეხერხება ვიკისრებთ და კიდევაც **რამდენადაც** ხელს შეგვიწყობს პირობები, ჩვენს ძალას არ დავზოგავთ! თუ ვერაფერს გავხდით, ბაქიაობა მაინც არ იქნება, სწორედ, ისე როგორც ბაქიაობა არ იყო და არ არის, როცა ს.-ფედერალისტების სურვილი არ განხორციელდა. თუ იდეალის სიშნელეზე ამბობთ, ცენტრალისტურ თვითმპყრობელ სახელმწიფოის ფედერატიულად გარდაქმნა ისტორიამ არ იცის; ისტორიამ არ იცის, რომ სრულიად სხვა და სხვა კულტურის, ეკონომიური მდგომარეობის, ხასიათისა და ისტორიის მქონე ხალხები ფედერატიულად შეერთებულიყვნენ; ასეთი იდეა სრულიად გაუგებარია იმ 160 მილიონისათვის, რომელიც რუსეთს შეადგენს; ხოლო ის, რაც ჩვენს მისწრაფებას შეადგენს, ყოველ წლივ ხდება, ყველას ესმის და თვით საქართველოს ფარნავაზიდან დაწყებული ვიდრე ირაკლიმდე ათასჯერ განუხორციელებია!

მეორე ბრალდების—საქართველო სიტყვებს არახუნებდაო—დამტკიცება ვერც კი იდვა თავზე რედაქციამ, მაგრამ შეცდომის პირდაპირ შენანიების მაგიერ—გაჩუმდა, გადააფუჩეჩა, თითქოს ასეთი შეურაცყოფა არაფერი იყოს. ვრწმუნდები, რომ ბევრი არ მოეთხოვება „დროებას“!

მესამე „დროება“ გვამადლიდა ს.-ფედერალისტებიდან ისესხეთ თქვენი პროგრამა და ეხლა მადლობის მაგიერ გაჭეჭყას უპირებთო. შევეკითხე, რა ვისესხეთ-თქო. პასუხი არ გაგვცეს. ჭვავს დავთარში არაფერი უნახავთ, თორემ ასე ადვილად შეგვარჩენდნენ ვალს.

წინა წერილში დამავიწყდა და ეხლა უნდა შევნიშნო, რა გაჭეჭყაზე ბძანებს „დროება“ ვერ გამიგია.

მეოთხე და უკანასკნელი კითხვა, რომელიც „დროებას“ მივეცი იყო: თქვენ ძველის ღეკვას უძახით ჩვენს მიმართულებას; გაგვაგებინეთ სადაა ეს ძველი, საიდანაც ჩვენ გადმოვღეკეთ-თქო. „დროება“ ასეთს მარგალიტ პასუხს გვაძლევს: „მართალია, ერთ ქმრობის მოტრფიალენი წინად პრესაში იშვიათად თუ წამოისროლიდნენ ხოლმე ერთორს სიტყვას, ისიც გადაკვრით, მაგრამ იმიტომ რომ ისინი ჭგრძნობდენ მაშინ...“

წინადადება თავდება მაგარ მაგარი სიტყვებით, რომლის ენა წყლიანობით მკითხველს შეუძლია დასტკბეს „დროების“ მე 21 ნომერში. ასე თუ ისე, „ღეკვა“ არსად ყოფილა და „დროების“ პუბლიცისტს ეს სიტყვა შეყვარებია, რადგან, როგორც ანდაზა ამბობს, „მელას, რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო“. მაინც ვვინდა გვიბრძანოს ბატონმა პუბლიცისტმა, ეს **იშვიათად ნათქვამი ერთი-ორი სიტყვაც** კი სად ნახა? იქნებ, ჩვენ არ ვიცოდეთ, მაგრამ აქაც ვეკვობ, რომ მართალი იყოს.

ასე გააბათილა „დროების“ მე 21 ნომერმა, რაც იმავე გაზეთის მე-5 ნომერში იყო დაბეჭდილი. მაგიერად ახალი სერია გვიბძანა ნობათებისა, რომელსაც უპასუხოთ ვერ დავსტოვებთ.

„დროების„ პუბლიცისტს „არც დროჰქონია და არც სურვილი ხ. ლორთქიფანიძესთან კამათისთვის.“

ვინაა ეს დიდებული ადამიანი, რომლის სასიმაღლეს ვედარ შესწვდება ადამიანი; ვინაა ეს საქმით დატვირთული, რომლის ყოველი საათის მუშაობა საქვეყნო საქმეებს აქვს დარიგებული; რომლისგან მოელის ქვრივ-ობერი შველას, ქვეყანა აღდგენას, ახალ-თაობა დარიგებას. .? ვინაა, ვინ? ილია... ხომ არ არის წინასწარმეტყველი, რომელიც ზეშთაგონების გადაცემას უნდება და სწყინს, როცა ხელს უშლიან? იქნებ, გიორგი... საკაძე იყოს; ქვეყნის განთავისუფლებაზე ფიქრში გართულს ვერ მოუცლია ჩვენთვის? იქნებ, გრიგოლი... დიდი პაპა იყოს რომისა, რომელიც ცდილობდა მწყემსის კვერთხს დამორჩილებოდა ევროპის სამეფო სკიპტრები? იქნებ, ნახევრად ზღაპრულს, ნახევრად ისტორიულს Владимиръ Красное Солнышко-ს დაუფრთხეთ ძილი?

არა, ბატონებო, აქ „დროების“ რედაქციაზეა ბაასი! სად დიდი გვამები ისტორიისა და სად კომპანია „ძილის პირების“ მღერალთა და აკვანის მრწეველთა!

მეკურტნე რომ გამდიდრდება—თითზე წამოცმულ ყოველ ბეჭედს მოგაჩრის თვალში—ა, შეხედე, რა მდიდარი ვარო!

მედროგე რომ ლოტბარად დააყენოთ—უსათუოდ ხელის ქნევით და სალოტბარო ჯოხის რტყმევით შეგაწუხებთ.

კოლლეგესკის რეგისტრატორს სანაქებო ზრდილობად ეჩვენება, თუ ნაცნობს დროზე ქუდი მოუხადა!

პატარა მწერალს დიდ პუბლიცისტათ მოაქვს თავი, თუ ოციოდე ნაბეჭდი თაბახი აუჩერელა.

ქონდრის კაცის თვისება ცხოვრების ყოველ საფეხურზე ჩნდება

„დროება“ ირწმუნებოდა „საქართველოს“ არც გეგმა აქვს და არც მიმართულება. ასიოდე სტრიქონის შემდეგ კი გვისაყვედურებს „ოცნებას და ფიქრს პროგრამის სახე მიეცოთ და პრესაში გასასაღებლად გამოიტანეთო.“ ეს ნამდვილი სიბრძნე—სიცრუეა. აქ ისევ არეული ერთმანერთში სიცრუე სიმართლეში, რომ ნე თვითონ მიჭირდება გავარჩიო, სად იწყება ერთი და სად თავდება მეორე

მართალია, რომ „საქართველოს“ ერთი განსაზღვრული მიმართულება ქონდა და აქვს: ხოლო ტყუილია, ვითომც პროგრამის სახე მიგვეცეს ჩვენის მისწრაფებისთვის და პრესაში გასასაღებლად გამოგვეტანოს.

„საქართველომ“ ოდნავ დასახა თავისი იდეალი, გვიჩვენა აქა-იქ უკულმართობა ცხოვრების. „საქართველო“ მუდამ და ყოველთვის ცდილობდა გაეგო საზოგადოებას აქვს თუ არა ისეთივე მისწრაფება, როგორიც იმ პატარა ჯგუფს, რომელიც „საქართველოში“ მუშაობდა.

„დროება“ თურმე „საქართველოს“ უყურებდა, „როგორც საპამფლეტო კრებულს, მხოლოდ საპამფლეტო კრებულს.“

მწერალს, ერთად ერთი ყოველდღიური გაზეთის პუბლიცისტს, ძნელია შესწამო კაცმა უკოდინარობა ისეთი საყველპუროდ გამხდარი სიტყვისა, როგორიცაა „პამფლეტი“, მაგრამ, როცა ადამიანი ამდენს სიბრიყვეს, სიცრუეს და ოინბაზობას ერთად მოიათავსებს, უნებლიედ ფიქრობ,—ამ კაცმა არ იცის სიტყვების მნიშვნელობაც კი. პამფლეტები იყო „საქართველოში“; ჩვენს ოდგომარეობაში მყოფ ჯგუფისთვის, პამფლეტში უფრო **ჭოსახერხელელია** (ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო) აზრის გამოთქმა; იმ პამფლეტებშიაც გარდა პამფლეტის ძირითად თვისებებისას კიდევ რასმე დაინახავდა გულ-წმინდა მკითხველი; ხოლო ისეთის წერილების პამფლეტად მონათვლა როგორიცაა ბ. ბ. ალაროდიელის, სოფლელის და სხვა-

თა წერილები, ბელლეტრისტიკა და თარგმანები მხოლოდ „დროების“ ბეჩავ ფილოსოფოსს მოუვა აზრად.

წინა წერილში, ერთსადგილს ვამბობდი ჩვენ ბუნდონვანად გამოვთქვით ჩვენი იდუმალი მისწრაფება-თქო. ვინც ან ბრმა არ არის, ვინც პროვოკაციას არ ეწევა, ვინც ყურადღებით კითხულობს, ადვილად გაიგებდა, თუ რამდენი ბრალი მიგვიძღვის ჩვენ ამ სიბუნდოვანეში. რომ თავს ვკადრო და „დროების“ ხრიკს მივმართო, შემეძლო რამდენიმე კითხვა დამეყენებინა, რომლის პასუხის გაცემა დღეანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა... მართალი რომ თქვას კაცმა ამას არც „დროება“ იკადრებდა, მაგრამ, ჩვენ რა დამნაშავენი ვართ, თუ „დროების“ წერილში ავი ნების მაგიერობას მოსაზრების უქონლობა სწევს.

აზროვნების ძალას „დროების“ რედაქციაში სჭარბობს ენერგია გამოთქმისა. საიდან გაიგო, მაგალითად „დროების ქონდრის კაცმა, რომ მე პოლემიკაში ჩაბმას ვეტრფი? ჩვენ პატარა ადამიანები, პატარა ჟურნალის შავი მუშები, მოვალენი ვართ სურვილსაც კი ორს-სამს თვეში უსათუოდ მეცნიერული დამტკიცებანი მოუნახოთ, თითქოს რაიმე ცოდვა იყოს, სურვილი, თუ გნებავთ სრულიადაც უსაბუთო, მეორეს გავაცნო და ვთხოვო, მოდი ერთი, თუ შენც ეგრეთი იდეალი გაქვს, განხორციელებისთვის ვიზრუნოთ, მოვილაპარაკოთ-თქო; დიდი ბრძენნი კი „დროების“ სხვის სულში ფათურობენ და რაღაც ნაირად ჰპოულობენ ბაცილლას კამათისას;

კამათის გაგრძელება ჩვენი ბრალი სრულიადაც არ არის. შეცდომის გადაფუჩეჩებას ნუ მოინდომებთ--- პირდაპირ აღიარეთ; გვითხარით გარკვევით და მოკლედ პასუხი; ,,დაბშეთ შადრევანი მჭერმეტყველებისა'' და აღარ შეგვიყვანთ ჩვენ განსაცდელსა კამათისასა.

ნ. ლორთქიფანიძე.

კრება

(პიესა ერთ სურათათ.)

სამოქმედო ადგილი წარმოადგენს მოზრდილ ოთახს. მის შუა გულში სდგას დიდი მაგიდა მწვანე საფენით. ოთახში აქა-იქ შეგრეგილან გიმნაზიელი ქალები და ვაჟები. ყველა ბასსითაა გართული. ამ დრას ერთი მათგანი მიუახლოვდება მაგიდას შუა ადგილს და ყველას ხმა-მაღლა აუწყებს.

გრიგორი. ამხანაგებო! (ყველანი გაჩუმდებიან და მაგიდისაკენ მიიწევენ) კერძო დაბარაკეთ ჩვენ ვერაფერს გავარიგებთ. ავირჩიოთ თავ-მჯდომარე და სერიოზულად შეუდგეთ საქმეს.

ყველანი. რასაკვირველია! რასაკვირველია!, „უტიდებდათ საჭირო! Нѣпремѣнно! нѣпремѣнно! Приступимъ ато опоздаемъ!..

ვანო. Господа! я съ своей стороны предлогаю предсѣдателемъ Колю.

კოლა. Нѣтъ господа, нѣтъ, я не хочу. სულ ერთია კატო, ვინც უნდა იყვეს.

ხმები.—დადექი კოლა, დადექით! თქვენ იყავით ვანო, თქვენა!.. კოლა, კოლა!.. (კოლა ნელ ნელა დიმიდით მიუახლოვდება მაგიდას).

კოლა. (გზა და გზა) Всеравно, господа, всеравно!.. როგორც მოგეხსენებათ ამხანაგებო, ჩქარა აკაკის იუბილეი უნდა გადიხადონ. ჩვენც რასაკვირველია, დავაბირეთ მონაწილეობის მიღება, მაგრამ, როგორც გამოირკვა „папечитель“-ს ნება არა დაურთვია იუბილეში მონაწილეობის მიღებაზე — შეგიძლიათ მხოლოდ ბასსიური მონაწილეობა მიიღოთო. გავარკვიოთ, რაში მდგომარეობს ბასსიური მონაწილეობის მიღება. Высказывайте, господа, мнѣнія!..

ვანო. —(წინ წამოდგება და კოხტად აქეთ-იქით გაიხედავს). Объ этомъ товарищи и не стоитъ говорить. Принимать поссивное участіе, по мнѣнію попечителя, значитъ: смотрѣть на процесію издалека и присутствовать на галеркѣ во время чтенія адресовъ. Вотъ вамъ пассивное участіе!

ყველანი.—(სიცილს ასტეხენ. აქა იქ ტაშის ცემატ მოისმის) ვაშა, ვანიჩკა, ვაშა!.. Браво молодцомъ!.. (ზოგი ერთა ქალი ნასიამოვნები იმსიტუვეთ, ამხანაგს ეუბნება: „охъ какой душка, какой славный нашъ Ваничка“).

თავმჯდომარე.—(როდესაც აურ-ზაური მიწყნარდება) როგორ მოვიქცეთ, господа, высказывайтесь!

ტასო. – Боллатировка გუააროთ, господа, боллатировка! (მოისმის ხმები: „კარგი იქნება, კარგი“! ხმები უპასუხებენ რის „ბალატირობკა“, ქალო, რას ამბობ, რას უნდა უყაროთ баллатировка“-ო).

გიგო.—(ს. მ. ნ). როგორც ეტყობა მაგ ქალს უნდა კენჭი იმას უყაროს, თუ ვინ უფრო კი შეუდუდობისა: ვანო თუ თავმჯდომარე. თუ არ ეს, მაშ, სხვას რას უნდა უყაროს კენჭი, რომ არ ვიცი?!. (ყველანი იცინიან, ხოლო ტასო წამოიძახებს: „дуракъ “).

თავმჯდომარე:—თუ შეიძლება, ცოტა წუნარად. (სიწყნარე ჩამოვარდება).

გიგო.—მაგრამ, ამას თავი დავანებოთ. ვუბრძანებ თავმჯდომარის წადინდელ კითხვაზე. ჩემის აზრით, შეგვიძლია ვისმეს დავავალოთ, რომ მან მიართვას იუბილეარს ადრესი მოწყალეთა სახელით. (ყველა გაჩუმებულია).

თავმჯდომარე.—Ну, господа, высказывайтесь.

ნინა.—ჩემის აზრით, მაგგვარ მონაწილეობის მიღებას, სულ რომ არ მივიღოთ უკეთესი იქნება. Нѣтъ, товарищи, что вы скажете?.. (ატუდება სმაურობა, კიბეზეთ: „რასკვირველია. конечно, ну მივიღებთ, ну“).

გიგო.—მოვითმინეთ... (ხმაურობა არა სწყდება). მოითმინეთ, ბატონებო... (ვერაფერს ვწყობს).

ვანო. Предсѣдатель, чего-же вы ничего не говорите!.. Заснули!..

თავმჯდომარე. — Господа высказывай... Ахъ виноватъ... Успакойтесь... დაცადეთ ნინამ იდაბარაკოს...

მიშა.—ნინამ კი არა, კაცო, გიგო დაბარაკობს...

თავმჯდომარე.—ჰო, კარგი, სულ ერთია!..

გიგო.—ნინამა სთქვა, რომ მონაწილეობას ნუ მივიღებთო. რათა, რაო? ჩვენ თუ გვინდა აკაკის ვცეთ ბატივი, მაშინ რა უშარს, რომ უკიდურეს შემთხვევაში, სხვამ გადასცეს მას ჩვენი მისამი გრძნობა. ბოეტი მაშინაც დარწმუნდება, თუ რა შეხედულობისა არიან მასზე მოწყენი.

თავმჯდომარე.—არა, საჭირო არ არის!

ვანო.—А позволено-ли намъ, господа, хотя бы въ такой формѣ принять участіе въ чествованіи?.. (როდესაც ვანო დაბარაკს იწყებს, ქალები წინ წამოიწევენ. ამ დროს აქა-იქ გაისმის ხმები: „Ваничка говоритъ, Ваничка“).

ნინა.—Въ этомъ нѣтъ сомнѣнія! конечно позволено!..

ვანო.—Въ такомъ случаѣ, пусть, будетъ по предложенію Гиго.

ხმები.—მაგრე სჯობია, пусть такъ будетъ, пусть!..

მიტო. მე მგონია, რომ ოდქის მზრუნველი არც მაგის ნებას მოგვცემს. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ რა გზას დავადგეთ?

ნინა.—მაშინ, სულ ყველაფერს დავანებოთ თავი. (ხმები გაისმის: „რა გულადია ჩვენი ნინა)“.

თავმჯდომარე.—იცით, რა გითხრათ ამხანაგებო? ერთი კარგი რამ მოგიგონე. მოდი ჩვენი გულის-წურობა გამოუცხადოთ „папечитель“ს. რაც შეეხება იუბილეში მონაწილეობის მიღებას იმ თვრმით, რაგორიც ამხანაგმა გიგომ გვირჩია, მე წინააღმდეგი ვარ. საჭირო არ არის. (აქა-იქ მოისმის ხმები: конечно, конечно).

ერთის ხმა: ესენი ცოტა ხნის შემდეგ თვით აკაკის გამოუცხადებენ ბოიკოტს.

ვანო.—Господа, въ такомъ случаѣ, мы можемъ пойти на домъ къ Акакію и поднести подарки.

ხმები: მაგრეც შეიძლება! მაგრეც შეიძლება! Пусть такъ будетъ; пусть!

თავმჯდომარე.—არა, არც ეგ ივარგებს!.. ისევ ჩემი ნათქვამი სჯობია. მონაწილეობას სულ ნუ მივიღებთ. ჩვენი თავ-დამცირება იქნება, რომ ვიღაც ბებრუბმა მოწყალეთა სახელით ადრესი მიართვან...

გიგო.—შე დალოცვილო, ახლა გაზდამ მიართვას რა. ვინ გეუბნება უეჭველად ბებერმა.

თავმჯდომარე.—Не мѣшай пожалуйста.. მოითმინეთ... Такъ господа, лучше всего выразыть негодованіе и протесть ბროტესტი გამოუცხადოთ, ამხანაგებო, ბროტესტი!

ვარო.—Онъ достоенъ этого, გამოუცხადოთ, გამოუცხადოთ!..

ხმები.—გამოუცხადოთ, გამოუცხადოთ?!.

თავმჯდომარე,—ჩვენ ამას სულ ადვილად მოვაგვარებთ. მე თვითონ წაუდგა წერილს „ადის“ რედაქციასა და დავაბეჭდინებ.

ვარო —დიახ, заявимъ протестъ посредствомъ прессы!

ხმები.—Заявимъ, заявымъ!..

ნიკო.—მე თუმცა მოწყენა არა ვარ, მაგრამ ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვსთქვა.

თავმჯდომარე.—შეიძლება, ამას ხმის უფლება მივცეთ? Высказывайтесь, господа товарищи (ასტუდება სიცილი. მოისმის: „господа товарищи‘ господа товарищи“).

ხმები: არ შეიძლება!.. შეიძლება!.. არა, არა!.. მივცეთ, მივცეთ!.. ეგეგ, ჩვენი სასარგებლო სთქვას!..

(უკანასკნელი ხმები აჭრიბებენ და ნიკოს ხმის უფლებას აძლევენ).

თავმჯდომარე.—Позволяемъ, говорите!..

ნიკო.—თქვენ თუმც ერთხმად სწყვეტამთ ოდქის მზრუნველს ბროტესტი გამოუცხადოთო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის განხორციელება ბრესის საშუალებით შეუძლებელია. გარწმუნებთ ბატონებო, რომ მაგგვარ შინაარსის წერილს არც ერთი რედაქცია არ დაგიბეჭდავთ.

ხმები.—Да. Да. Можетъ быть!.. მართალ ეგ როგორ დაგვავიწყდა!

ვანო.—Господа! Редакція безъ подписей авторовъ письма печатаетъ или нѣтъ?

ნიკო.—Нѣтъ, не печатаетъ.

ვანო.—Тогда, господа, опасно. Насъ всѣхъ заарестуютъ, если подпишемъ.

ხმები.—Не дай Богъ, не дай Богъ!

ვასო.—ეგაც, რომ არ იყოს, ყველა ქართველ მოწაფეებს დაგვიჭერენ. Нѣтъ, господа, это опасно! (ყველა გაჩუმებულა).

ვანო.—Товарищъ, предсѣдатель, чего жъ вы остановились, придемъ къ какому нибудь заключенію!..

თავმჯდომარე.—Ну, господа, высказывайтесь, какъ поступить? (ამ დროს ერთი მოწაფე ქალი მიგა თავმჯდომარესთან და რაღაცას წასჩურჩულებს).

ციშა.—თუ მაგრეა, მაშ სხვა რამე მოგუგონოთ.

თავმჯდომარე.—Товарищи, знайте что выдумали. მოდით და ყაზბეგს გამოუცხადოთ პროტესტი. რას იტყვით, высказывайтесь

ნინა.—Да, да, ეგ კარგი იქნება. ყაზბეგი ძალნ ცუდათ მოგვეპყრო. ჩვენ მიერ გაგზავნილ დეპუტატებს „оскорбленія» მიაყენა.

ვანო.—Нѣтъ, господа. По моему лучше будетъ выразить негодованіе не только Казбеку, но и цѣлому грузинскому обществу. Оно сочувствуетъ Прошенію Казбека

(ქალები ერთხმათ შესძახებენ: Очень хорошо, ძალნ კარგი იქნება, ძალ კარგი).

თავმჯდომარე.—Хотя бы такъ. Выразимъ, господа товар... Ахъ виноватъ, господа, негодованіе цѣлому обществу. Высказывайте, господа, мнѣнія!..

გიგო.—ბატონებო, ყაზბეგმა შეურაცხყოფა მოგვაყენა და აქ ქართველი საზოგადოება რა შუაშია?..

თავმჯდომარე. ამ მუშათა, რომ почему оно не хлапотало объ насъ!

ილო.—(ს. ა. გ.) აღელვებული, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს) თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ყაზბეგი ოდქის მზრუნველთან უკვე იყო იმის სათხოვნელად, რომ მოწაფეებს მონაწილეობა მიეღოთ იუბილეში, მაგრამ მან უარი განუცხადა. რა უნდა ექნა მას მეტი?

ნინა.—თუ ის მომხრე იყო მოწაფეების მონაწილეობის მიღებისა იუბილეში, მაშ რადას ნიშნავს მისი სიტყვები: „რა თქვენი საქმეა იუბილეი, თქვენ ჯერ პატარები ხართ, ბავშვებო და „и такъ далѣе“?..

ნიკო.—შეიძლება ისუმრა?.

ნინა.—Мы такія шутки не принимаемъ. Нѣтъ. Мы не дѣти.

ნიკო.—თუ გინდა მართალი ეთქვა, მერე აქ საზოგადოება რა შუაშია?

თავმჯდომარე.—საზოგადოება ალბად თანაუგრძნობს ყაზბეგს, რადგან დახმარება არ გაგვიწია.

ხმები.—მთელ საზოგადოებას გამოუცხადოთ, მთელ საზოგადოებას!., Конечно!..

კოტე.—(ს. ა. გ.) ბატონი თავმჯდომარე ბრძანებს, საზოგადოება იმიტომ არის გაეიცხვის დიდსი, რომ მან დახმარება არ გაგვიწია. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყაზბეგი ოდქის მზრუნველთან თავის ნებით კი არ წასულა, არამედ საზოგადოების დავალებით.

ხმები.—Ничего подобнаго, ничего подобнаго! პროტესტი გამოუცხადოთ, პროტესტი!.

(ატეხება საერთო ყურ-ზაური და ხმაურობა)

პეტრე—(შემოდის მეორე ოთახიდან) ბატონებო, აქ ხმაურობას ნუ ასტეხავთ, თორემ შესაძლებელია ვეკალის ადგილიდან სადმე გადაგმართოს. პატარა წყნარად იდაბარაკეთ. (ზოგი შეშინებული აქეთ-იქით იყურება).

თავმჯდომარე.—Поскорѣе боллатировку, господа, боллатировку!.

თედო.—ბატონებო, ჯერ რიგიანად გამოარკვიეთ, ვინ არის დამნაშავე ყაზბეგი თუ საზოგადოება და შემდეგ ისე უყარეთ კენჭი.

ხმები—გამოარკვეულია!.. Баллатировка, господа баллатировка! (კვლავ ატეხება ხმაურობა. ზოგიერთი მიდის და კარებისკენ იყურება: არავინ შემოგვსწროსო).

დიმიტრი. - ბ-ნო თავმჯდომარე, თუ შეიძლება ერთი სიტყვის ნება მომეცეთ.

თავმჯდომარე Можно, товарищи, высказывайтесь. გაისმის სხვა და სხვა ხმები: Можно!. Нельзя!. სათ. ანნ. კიმნ. მოწაფეა, მაკეს არ შეეხებ!.. ნუ მიეცემთ ნებას!.. მიეცეთ!.. მიეცეთ!.“ დიდი ეოემანის შემდეგ დიმიტრის ხმის უფლებას მისცემენ).

თავმჯდომარე.—ბრძანეთ.

დიმიტრი.—მე ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. ჩემს ლაპარაკს ამ დროის მხოლოდ მეოთხედი მოუნდება, რომელიც ჩემთვის ხმის უფლების მოტემას მოანდომეთ მე მინდოდა მეთხოვნა თავმჯდომარესათვის რიგიანად გამოერკვია, თუ რა ბრალსა სდებენ საზოგადოებას?

ხმები. - ეგ ისევ თავიდან იწყებს... Баллатировка, господа. баллатировка!..

დიმიტრი.—მომეთმინეთ, ბატონებო, მომეთმინეთ. თქვენ მე, მგონი, ოცდაათჯერ დაიწყეთ თავიდან, მაგრამ ბოდიშდე კი ვერ მიაღწიეთ. თქვენი მსჯელობა „У папа была собака“-ს მაგონებს. ჰო, და მე მსურს როგორმე ბოდიშდე მივაღწიო და სწორედ ამიტომ გუსგამ თავმჯდომარეს ასეთ კითხვას: რა ბრალსა სდებთ საზოგადოებას?

თავმჯდომარე.—ამ ბრალსა ვსდებთ, რომ ამას ჩვენთვის უნდა ეზრუნა.

დიმიტრი.—ნუ დაგვიწყდებათ; რომ როდესაც ეზბეგი ოდქის მზრუნველთან მიდიოდა, ის იმ დროს საზოგადოების სურ ილს ასრულებდა. ეს გარემოება კი იმას ამტიცებს რომ საზოგადოება მოწადინებულია მოწოფეებმა მონაწილეობა მიიღონ იუბილეიში, და თუ ეზბეგმა, რამე შეურცხოფა მოგაყენოთ, ეგ მისი ბირადი მოქმედებაა. თქვენ ეზბეგის სიტყვებითა სრთ შეურცხოფილი, ეზბეგს გამოუცხადოთ გულის წყრომა. საზოგადოება კი ამ საქმეში უდანაშაულოა.

თავმჯდომარე.—ჩვენ რომ საზოგადოებას თხოვნა წარუდგინეთ, თქვენ რომ საზოგადოებას თხოვნა წარუდგინეთ, почѣму оно ничего не сказало?

ხმები.—Да, да.. почему насъ безъ вниманія оставило?

ნინა.—Нѣтъ сомнѣнія, что въ поступкѣ Казбека и общество виновато. ბრიტესტი გამოუცხადოთ, господа, ბრიტესტი.

თავმჯდომარე.—Баллатировка, господа, баллатировка! (ატეხდა ხმაურობა).

მიშა.—(შორიდან მოისმის) ამანაც საქმე გაგიჩარა თავის „баллатировка“-თი. ჯერ საქმე არ გაურკვევიათ და „баллатировка“-ს გაიძახიან.

თავმჯდომარე.—(ეურს მოკრავს მიშას ნათქვამს). Господа, ე ზოგიერთებს რა ძალიან უკვირთ, რომ „баллатировка“-ს ერა გვინდა. ნუ თუ თავის დღეში კრებებზე არა ყოფილან? (გადასცდავს მიშას და დაუკვირდებს) ბ-ნო მიშა, გირჩევ კრებებზე იარო და ისწავლო თუ რა არის ნ რისთვის არის „Баллатировка!..“

მიშა.—რაზედ კრებაზე?.. თუ იქაც შენ იქნები თავმჯდომარედ ღმერთმა ნუ წამიყვანოს. რაც ვიცი ისიც დამავიწყდება, არამც თუ რამეს ვისწავლი. მაგრამ ეგებ სერიოზულ კრებებზე დაბარაკობ?.. მაშინ, ეს იმ კრების ბრალი შენ ხელშია!.. როგორც გეტყობა შენ კი ყოფილხარ იმ ბევრ კრებაზე. მაგრამ დაგძინებია... ხადო როდესაც საქმე გაუთავებიათ და ბოდოს შენ საყვარელ „баллатировка“-ზე დაიწყეთ დაბარაკი, გამოგდვიძებია და იმ კრებიდან მსიდოდ „баллатировка“ შეგრჩენია. შენ თავიდან ბოდიშდე უნდა გედეკნებინა თავდ-ეური კრებისათვის და მაშინ კარგად გაიგებდი თუ როდის მოხდა კენჭის ერა ან რისთვის...

ხმები.—Ничего подобнаго, ничего подобнаго! Баллатировка, Баллатировка!..

ვანო.—Господинъ предсѣдатель!.. Вы переступили за границы дѣла Оставимъ такого рода разговоръ. Къ дѣлу!..

თავმჯდომარე.—Ну, господа, баллатировка, баллатировка!..

ხმები.—Да, господа, поскорѣе, ато.. (ქალ-იქით ეურებიან) полиція узнаетъ.

დიმიტრი.—კაცო, რა ძაან შეკვეარებიათ ეგ კენჭის ერა. რას უნდა უეარო კენჭი, როდესაც თქვენი მსჯელობაცა და დასკვნაც ბურუსითაა მოცული... (ხმაურობა ატეხდა) მომეთმინეთ, ბატონებო!.. ბატონი თავმჯდომარე მეკითხება, რომ საზოგადოებამ ეეარადებად რად დასტოვა ჩვენი თხოვნა. ნეტა ვიცოდე ამ შემთხვევაში რასა სთხოვთ საზოგადოებას? რა გზაზედ შეეძლო საზოგადოება დამდგარიეო. როდესაც ოდქის მზრუნველისაგან კატეგორიული უარი მიიღო? (თავმჯდომარე გაჩუმებულია. ვეარ ატეხდა საერთო ხმაურობა. ხმაურობაში მოისმის თავმჯდომარის ეკერიდი)

თავმჯდომარე.—Баллатировка, Баллатировка!..

პეტრე.—(შემოდის) სუ... ტოტა წენარად ბატონებო.

კოტე.—(სათ. ან. გ. მოწ.) ბატონებო. მაგვარ ანსურდამდე ბავშვიც კი არ მივა. თქვენ ანდა ერთ ანდაზას ამბრდებთ: ცხენს ვერაფერი დაეკლეს და უნაგირს მტვრევა დაუწყესო“!..

თავმჯდომარე.—Господа, ученики двор. гимн. не имѣютъ права голоса. გთხოვთ ხმას ნუ იღებთ ბატონო კოტე.

ხმები.—Не имѣютъ, имѣютъ! эта частная гимназія.

ილო.—(ეროობ ადედგებული. სხვა-სხვანი დაბარაკობს). Какъ это не имѣмъ!., почему же въ такомъ случаѣ вчера подносили къ намъ прошеніе и заставляли подписывться? Вчера были ученики съ правами а сегодня нѣтъ Это слишкомъ не красиво!.

ხმები.—Очень дале красиво. Боллатировка, боллатировка!., (საერთო ხმაურობა).

ნიკო.—ბატონებო, თუ შეიძლება ტოტა მომეთმინეთ... არ შეშიძლია არ გავუწყოთ, რომ სიაუბიდეო საქმეებს აწარმოებს განსაკუთრებულად მაგისთვის

3976/2 1909

არჩეული სიუბიდეო კომიტეტი. ეგელა სიქმე ამის შეესება და ნეტა ვიცოდე, რომელ სიზოგადოებას უბირებთ კაკეცხვის? (ატეადება ხმაურობა. ამ ხმაურობაში მოისმის ზოგიერთების ხმა: თუ ეს ესა, მაშინ სიზოგადოება რა შეაშია?..ო მაგრამ უმრავლესობა გაიძახის –ტეუიდიაო!).

ხმები. – Ничего подобнаго, ничего подобнаго!..

თავმჯდომარე. —Боллатировка, ბატონებო, баллатировка!..

ხმები. —Отлично, отлично! (ერთ კუთხეში შეჯგუფდება რამდენიმე მოწინააღმდეგე. ისმის მათი ხმა: „რა სასულელია, რა ებსურდია!..“).

თავმჯდომარე. Господа, кто противъ того, чтобы выразить наше негодованіе обществу въ лицѣ Казбега?.. (ჯგუფი კენჭის ერში მონაწილეობას არ იღებს) თავმჯდომარის გარშემოხვეულთაგან მხოლოდ ერთი სწევს ხელსა).

თავმჯდომარე. (ხელს მაღლა ასწევს, ცალ ფეხს ტოტა წინ წამოდგამს და ხმა მაღლა დაიყვირებს) Мы побѣдили, господа, тов... виноватъ... побѣдили господа Наше мнѣніе прошло!.. „Негодованіе“, უნდა გამოუცხადოთ საუბიდეო კომიტეტს და მთელ საზოგადოებას.

(კვლავ ატეადება არეულობა, აურ-ზაური და სიცილი. მოისმის ხმები. „ჩვენ გავმარჯვეთ, ჩვენ გავმარჯვეთ!“).

თავმჯდომარე.— (კრების დასურვა ავიწყდება) აბა, ვინო, წავიდეთ. ჩვენია, ჩვენი!..

კოწია.—(სიცილით მიშას.) რა ვქნა, მე მგონი თავმჯდომარეს კრება არ დაუხურავს და რად დიშალნენ?

მიშა.—რას ამბობ, კაცო, რა გახსნეს, როგორ რა დაუხურავთ. მე ვერც მაგათი გახსნა ვნახე და ვერც დახურვა. რუსები რომ იტყვიან: „съ пустого въ порожное переливали“-ო სწორედ ისე მოუვიდათ.

(ყველანი ნელ-ნელა კრებისაკენ მიდიან გასაყოველად).

ნინა. — ჭეჭ, ხომ გავმარჯვეთ, ახლა ნახეთ როგორ გავლანძღავთ საზოგადოებას. (კარად გაშოდიან. შეჩერდებიან აივანზედ, სადაც კვლავ გაისმის დაბარკი და აურ-ზაური).

კოწია. — (ხიანს) ბახუსის გამტეხელნიც გამოგიჩნდებიან ნუ გეშინია. სისულელეს მე მგონი მხოლოდ სულელები იჯერებენ და არა ჭკვათა-მეოფელი ადამიანები.

კაცი ჭამია პურიშკევიჩი

თავმჯდომარე —(და მასთან სხვებიც შესძახებენ) „ვნახოთ, посмотримъ, ვნახოთ-ო (და სიცილ-საცეცხლით ნელ-ნელა მიდიან. აივანიც ცარიელდება).

(ფარდა)

დ. ელიოზიშვილი.

სხვა და სხვა პირთ წერილები,

7 დეკემბრის ალმანახში „აკაკის დღე საქართველოში“ მოთავსებულია წერილი „ნიგოითელისა“ ზოგიერთი ვაუბატონები ხალხში ავრცელებენ ხმას, რომ ვითომ ამ წერილის ავტორი მე ვიყო, თავის გამოჩენა არ მსურდეს და განზრახ ვსდუმდე. ამიტომ უმორჩილესად გთხოვ დ მიმოწმოთ, რომ ხსენებულ წერილის ავტორი მე არა ვარ ამასთანავე უცხადებ „ენა-ფხანია“ ვაუ-ბატონებს, რომ მე თუ ამ გვარ წერილებისთვინ მოვიცალ და ძველი ცოდვების გამომ-ეღვენებას მივყობ ხელს, მაშინ იმის დამამტკიცებელ საბუსაც მოვიყვან.

ტ. ართმელაძე.

რედაქცია ამოწმეს, რომ ხსენებული წერილი, ნიგოითელის, ფსევდონიმით ტ. ართმელაძეს არ ეკუთვნის.

გამომცემელი **ნინა გუნია.**

ტფილისი. ელექტრო-მბეჭდავი წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა. ვანქის დიდი ქუჩა.